



სპორტსმენები ერთიანდებიან  
ქალებისა და გოგონების მიმართ  
ძალადობის წინააღმდეგ:  
საქართველოს გამოსვლილება





United Nations Entity for Gender Equality  
and the Empowerment of Women

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)  
საქართველოს წარმომადგენლობა  
კავსაძის ქ. #3, ოფისი #11, 0179  
თბილისი, საქართველო  
ტელ: (995 32) 222 06 04  
(995 32) 222 08 70

[georgia.unwomen.org](http://georgia.unwomen.org)  
[www.unwomen.org](http://www.unwomen.org)

სკორტსმენები ერთიანდებიან  
ქალებისა და გოგონების მიმართ  
ძალადობის წინააღმდეგ:  
საქართველოს გამოსწორება



თბილისი, საქართველო 2018 წელი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალებისა და გოგონების ინტერესების დაცვა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ტექსტი: უილ კინგი

რედაქტორი: მიშელ მინასკანიანი

დიზაინი: ნატა ყუბანიეიშვილი

ბეჭდვა: პოლიგრაფიული საწარმო „ფაუნტეინ ჯორჯია“

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) საავტორო უფლებები დაცულია

ISBN 978-9941-8-0505-9

# შინაარსი

საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის წინასწარმობა	4
შესავალი	5
ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ გლობალური პრობლემა	7
ახალი კოვულარული ინიციატივის დაბადება	9
განსაკუთრებული გამოწვევები	13
ერთიანი ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ	15
პაცები ქალთა უფლებებისთვის (HeForShe)	17
ციფრებში ასახული პროგრესი	20
სამომავლო გეგმები	21

# წინასიტყვაობა

გაეროს ქალთა ორგანიზაცია პარტნიორებს საქართველოში ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევის კუთხით (VAWG/DV) 2010 წლიდან ეხმარება. ჩვენთვის ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების საფუძველს გაეროს გენერალური მდივნის მიერ 2008 წელს დაწყებული კამპანია „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“<sup>1</sup> წარმოადგენს.

ბოლო რვა წლის განმავლობაში ჩვენ ტექნიკურად ვეხმარებით საქართველოს ხელისუფლებას, რათა ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან იყოს ჰარმონიზებული. კანონისა და პოლიტიკის აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ისეთი სპეციალიზებული მომსახურებების დაწესებას შეუწყო ხელი, როგორც სახელმწიფო თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, ცხელი ხაზი და ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამა მოძალადეებისთვის. მსხვერპლთა კვალიფიციური დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებსა და ძირითადი მომსახურების მიმწოდებლებს შესაძლებლობების გაძლიერებასა და პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებაში დავეხმარეთ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ პარტნიორებთან ერთად, რომელთა შორისაც ქალთა ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები არიან, ცნობიერების ამაღლების კამპანიები ჩაატარა. მათ სამიზნეს საზოგადოება და გადანაცვლებების მიმღები პირები წარმოადგენდნენ. კამპანიები მიმართული იყო იმ დამოკიდებულებებისა და ღირებულებების შეცვლისკენ, რომლებიც უთანასწორობასა და დისკრიმინაციას განაპირობებს. 2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქსტატთან პარტნიორობით ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა ჩაატარა, რომელმაც, მოგვანოდა ინფორმაცია ძალადობის სხვადასხვა ფორმების გავრცელების შესახებ, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მე-5 მიზნით (გენდერული თანასწორობა) დადგენილ ინდიკატორებთან და 2030 წლის სამიზნეებთან მიმართებით.

ამ ყველაფრის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს მთავრობასა თუ სამოქალაქო საზოგადოებასთან და გაეროს ადგილობრივ გუნდთან პარტნიორობის გარეშე. ვერ შევძლებდით ბოლო რვა წლის განმავლობაში ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის აღკვეთის მიმართულებით მუშაობას ევროკავშირისა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერისა და თანამშრომლობის გარეშე, რომლებმაც საქმიანობის ფინანსური და ზოგადი მხარდაჭერა უზრუნველყვეს.

აღნიშნული პუბლიკაცია შეეხება გაეროს ქალთა ორგანიზაციის სპორტსმენებთან თანამშრომლობას, რომელიც 2010 წლიდან ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრებისთვის არსებობს. იგი მიზნად ისახავს ჩვენი ერთობლივი მოგზაურობის, მიღწევებისა თუ გამოწვევების აღწერას და, ასევე, მიღებული გამოცდილების გაეროს პარტნიორებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის გაზიარებას.

გვსურს, მადლიერება გამოვხატოთ საქართველოს რაგბის კავშირის<sup>2</sup>, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრებისა და ინდივიდუალური მორაგბეების მიმართ მათი მხრიდან მჭიდრო პარტნიორობისა და ამ მიზნის მიმართ თავდადების გამო. გვინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილ თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ნიჟარაძეს, საქართველოს რაგბის კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ გოჩა სვანიძეს, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბატონ მილტონ ჰეიგს, რაგბის ეროვნული ნაკრების ყოფილ მოთამაშეებს ბატონ ნონო ანდლულაძესა და ბატონ ლექსო გუგავას, მსოფლიო ჩემპიონს კიკობქსინგში ბატონ გიგა ჭიკაძეს. მათმა მონაწილეობამ რეალურად ხელშეშახები გახადა ჩვენი საქმიანობა და წახალისა სხვა სპორტსმენები თუ კაცები, მკაფიოდ გამოეხატათ პოზიცია და მონაწილეობა მიეღოთ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის დაძლევის პროცესში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

## ერიკა კვაპილოვა

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში

1 <http://www.un.org/en/women/endviolence/>

2 <http://site.rugby.ge/en/home/>



# შესავალი



სკოლის მოსწავლეების შეხვედრა მორაგებებთან (2010 წლის ივლისი) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/ლელო ბლაგონრაგოვა

2010 წელს საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში უცნაური ბილბორდები გამოჩნდა, რომლებზეც ყველასთვის საყვარელი სპორტის, რაგბის ეროვნული ნაკრების პოპულარული წევრების ფოტო იყო განთავსებული.

თუმცა, ეს არ იყო ჩვეულებრივი ბანერები. მათში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შინაარსი იყო: ბილბორდები ქართულ საზოგადოებას ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის დაძლევაში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა.

ბანერებმა საზოგადოებაში დაბნეულობა გამოიწვია. დიდი ნაწილისთვის ისინი შოკისმომგვრელიც აღმოჩნდა. იმ პერიოდში ოჯახში ძალადობა და

ქალებისა თუ გოგოების მიმართ ძალადობა საქართველოში ტაბუდადებული საკითხი იყო. უფრო მეტიც, საზოგადოებას მიაჩნდა, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ოჯახს უნდა გადაეწვია და მის მოგვარებაში სახელმწიფო უწყებები არ უნდა ჩარეულიყვნენ<sup>3</sup>. ამავდროულად, არსებული კულტურული დამოკიდებულებები ოჯახში ძალადობას საზოგადოებისა თუ კანონის თვალთახედვის მიღმა ტოვებდა. შედეგად, ამგვარი ფაქტების გამჟღავნება იშვიათად ხდებოდა.<sup>4</sup>

ცვლილებას სწორედ ეს დამოკიდებულება და არსებული გარემოებები საჭიროებდა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კამპანიის წარმატებისთვის აუცილებელი იყო გენდერული უთანასწორობის შესახებ

3 საქართველოში ქალთა 78%-ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა და მასში არავინ უნდა ჩაერიოს; ACT/UNFPA ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში (2009);

4 [www.police.ge](http://www.police.ge)

საზოგადოებაში ღრმად ფესვადგმული ქცევების, რწმენისა თუ სტრუქტურების, ძალადობის ნორმატივების შეცვლა და დაძლევა.

2010 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს რაგბის კავშირის თანამშრომლობის შედეგად, ადვოკატირების ინოვაციური კამპანია დაიბადა.<sup>5</sup> პარტნიორობა ჯერ გაეროს გენერალური მდივნის კამპანიას „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ (UNiTE to End Violence against Women Campaign)<sup>6</sup> ეფუძნებოდა, მოგვიანებით კი — გაეროს ქალთა ორგანიზაციის სოლიდარობის მოძრაობას გენდერული თანასწორობისთვის - კაცები ქალთა უფლებებისთვის (HeForShe)<sup>7</sup>.

საწყის ეტაპზე ამ კამპანიის სამიზნე ჯგუფს ბიჭები და ახალგაზრდა კაცები წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით კი საქართველოს რეგიონებში. კამპანიის ფარგლებში მორაგბეებმა შეხვედრები ბიჭებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართეს. ისინი მონაწილეებს რაგბისა და თანასწორობის პრინციპის, იმ ურთიერთპატივისცემისა და მხარდაჭერის შესახებ ესაუბრებოდნენ, რაც სპორტის აღნიშნული სახეობის საფუძველს წარმოადგენს. მორაგბეები ბიჭებსა და

ახალგაზრდა კაცებს ქალებისა და გოგონების ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობისკენ მონოღებდნენ.

ამავდროულად, კამპანიის მიზანი იყო დაემკვიდრებინა აღქმა, თუ რას ნიშნავს იყო კაცი და როგორ უნდა გამოხატავდე პატივისცემას კაცებისა და ქალების მიმართ. მისი მიმდინარეობისას ხაზგასმული იყო, რომ ძალადობა, განსაკუთრებით კი ქალებისა და გოგონების მიმართ, არასდროს იქნება მისაღები ქმედება პირადი კონფლიქტის მოგვარებისთვის.

მრავალწლიანი კამპანიის განმავლობაში მორაგბეებმა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივაში ჩასართავად სხვა სპორტსმენებიც წაახალისეს. 2016 წელს ესპანეთის საფეხბურთო კლუბმა „ვალენსიამ“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორი, ყოფილი მორაგბე ნონო ანდლუაძე ესპანელი სპორტსმენებისთვის სპორტში გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის შესახებ საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად მიიწვია. აღსანიშნავია, რომ კამპანიაში UNiTE სამოას რაგბის ნაკრებიც ჩაერთო.

**2309903**  
ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი  
შენს დასაცავად

**ჩაღს ვინს დაუყო ბინება, აბა თუ შეზვიეხინება?!**

პირველი გარე ბილბორდი; რაგბის ეროვნული ნაკრების წევრები გმობენ ქალთა მიმართ ძალადობას და ხელს უწყობენ ეროვნული ცხელი ხაზის ნომრის პოპულარიზაციას (ოქტომბერი, 2010) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/ლეილი ბლაგონრაგოვა

5 [http://georgia.unwomen.org/en/digital-library/videos?videoid=F3DRdqx\\_dBY](http://georgia.unwomen.org/en/digital-library/videos?videoid=F3DRdqx_dBY)  
6 <http://www.un.org/en/women/endviolence/>  
7 <http://www.heforshe.org/en>



# ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ გლობალური პრობლემა



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/საქსტატის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა (2017)

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა ინტიმური პარტნიორის ან არაპარტნიორის მხრიდან<sup>8</sup> ქალთა 35%-ს გამოუცდია. ზოგიერთი ეროვნული კვლევა ადგენს, რომ ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ცხოვრების რომელიმე ეტაპზე დაახლოებით ქალთა 70%-ს განუცდია.

საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებას ასახავს. ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ადრეული ან იძულებითი ქორწინება საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს.<sup>9</sup> მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ძალადობა

მხოლოდ ერთი გარკვეული ჯგუფისთვის არ არის დამახასიათებელი, იგი გვხვდება ყველგან, სოციალური, კულტურული, თუ ეკონომიკური განსხვავებების მიუხედავად.

ფაქტია, რომ იმ ქვეყნების უმეტესობაში, სადაც მონაცემები ხელმისაწვდომია, სხვადასხვა სახის დახმარებას იმ ქალთა 40%-ზე ნაკლები ითხოვს, რომელიც ამგვარ ძალადობას განიცდის. დახმარებას ეს ქალები ძირითადად მეგობრებსა და ოჯახის წევრებს სთხოვენ. მათი მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა მიმართავს დახმარებისთვის პოლიციას ან საჯარო ჯანდაცვის მომსახურებას. ძალადობის შემდეგ პოლიციას დახმარების მაძიებელი ქალების 10%-ზე ნაკლები მიმართავს.<sup>10</sup> წარმოდგენილი სტატისტიკა შემამოთხლებელია, ამი-

8 ქალთა მიმართ ძალადობის გლობალური და რეგიონული მონაცემები გვ.20 - [http://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85239/9789241564625\\_eng.pdf;jsessionid=0292DA1AAC94DABFAD3E6EBB07040611?sequence=1](http://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85239/9789241564625_eng.pdf;jsessionid=0292DA1AAC94DABFAD3E6EBB07040611?sequence=1)  
 9 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქსტატი და ევროკავშირი, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა (2017)

10 United Nations Economic and Social Affairs (2015). The World's Women 2015, Trends and Statistics, p. 159.

ტომ მის შესაცვლელად გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მისი პარტნიორები და ბევრი სხვა უწყება დაუღალავად შრომობენ. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების მიზნით, შეიქმნა პირველი სახელმწიფო კრიზისული ცენტრი და ცხელი ხაზი (2010), ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში, ამოქმედდა თავშესაფრები, სადაც ქალებს მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან გამკლავება შეუძლიათ.<sup>11</sup>

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოში გაეროს ოფისთან და ქალთა ორგანიზაციებთან ერთად, ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობის

საკითხის დარეგულირების მიზნით, საკანონმდებლო რეფორმა განახორციელა. 2017 წელს საქართველომ ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ეროვნულ დონეზე კვლავაც აგრძელებს მუშაობას იმ შესაძლებლობების გასაზრდელად, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების სწორად გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნასა და ქალების მიერ სამართლიანობის აღდგენას უზრუნველყოფს.

---

11 ეს სამუშაო ვერ განხორციელდებოდა პარტნიორების გარეშე - შვედეთის მთავრობა და ევროკავშირი, რომლებმაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივები დააფინანსეს.

# ახალი კოკულარული ინიციატივის დაბადება

„საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ყველაზე გაბედული და ინოვაციური ნაბიჯი საქართველოს რაგბის კავშირთან ძალების გაერთიანების შესახებ გაეროს ქალთა ორგანიზაციის გადამწყვეტილება იყო“, - ამბობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის პროგრამის ანალიტიკოსი ირინა ჯაფარიძე.

შეიძლება გაჩნდეს სამართლიანი შეკითხვა - რატომ მორაგბეები?

ირინა ჯაფარიძის განცხადებით, „პირველ ეტაპზე შეიძლება ურთიერთგამომრიცხავად ჟღერდეს ოჯახში ძალადობის სანინალმდეგო კამპანიაში იმ კაცების ჩართვა, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძალადობრივი სპორტის მოთამაშეები არიან, მაგრამ მათ მიერ ძალადობის სანინალმდეგო გზავნილების გამოყენებაში გარკვეული ლოგიკა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მორაგბეთა იმიჯი მასკულიზურია და ძალადობრივ სპორტთან ასოცირდება, მორაგბეები სამოქალაქო საზოგადოების განსაკუთრებით კი ქართველი კაცების უდიდეს პატივისცემას იწვევენ. ეს კი ისეთ ორგანიზაციებს, როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციაა, შესაძლებლობას აძლევს, საზოგადოებას სასურველი გზავნილი კიდევ უფრო მკაფიოდ მიაწოდოს. ფაქტობრივად, ქართველი მორაგბეების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიის მხარდაჭერამ მისი ავტორიტეტული სანდოობა უზრუნველყო: მორაგბეები ხომ ავტორიტეტით სარგებლობენ და მათი სიტყვები თითქმის ყველას გულში მყისიერად წვდება. რაგბის ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც ძალადობა და ფიზიკური ძალა სათამაშო მოედნის მიღმა არასდროს უნდა გამოიყენო, ასევე მნიშვნელოვან ათვლის წერტილს წარმოადგენს.“

ნონო ანდლულაძე და ლექსო გუგავა ყოფილი მორაგბეები არიან. მათ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა 2010 წელს, კამპანიის დაწყების პირველი ეტაპიდანვე დაიწყო.

თანამშრომლობას საფუძველი მას შემდეგ ჩაეყარა, რაც საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლები გაეროს ქალთა ორგანიზაციას შეხვდნენ და

ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბის შესახებ შეიტყვეს. მათ პრობლემის მოგვარებაში მონაწილეობის მზაობა მაშინვე გამოხატეს. შემდეგ კი გუგავა და ანდლულაძე მთელი საქართველოს მასშტაბით, პატარა ქალაქებსა და სოფლებში, სკოლებს ძალიან ბევრჯერ ესტუმრნენ და პატარა ბიჭებს (და გოგონებს) ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ.

ბავშვებისადმი მათი მიდგომა პირველივე დღიდან შემდგომი დისკუსიის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა. ისინი გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მნიშვნელოვან საკითხზე სასაუბროდ რაგბის თემას ოსტატურად იყენებდნენ.

კამპანიის ფარგლებში, თებერვლის ერთ ცივ დღეს ანდლულაძე და გუგავა შიდა ქართლში, გორთან ახლოს, სოფელ ტირძნისის სკოლას ესტუმრნენ. წლების განმავლობაში გორში რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო. თანაც, ქალაქი და მისი მიმდებარე სოფლები საქართველოს ერთ-ერთ კონფლიქტურ ზონაში მდებარეობს. შედეგად, მაცხოვრებელთა უმეტესი ნაწილი იძულებით გადაადგილებული პირია, მოსახლეობა კი, სოციალური და ეკონომიკური სიღუბის გამო, ძალადობის, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის, რისკის წინაშე დგას.

გაყინულ საკლასო ოთახში შესულ ორ მორაგბეს დაახლოებით 35, ძირითადად 16 წლამდე ასაკის, მოსწავლე მიესალმა. მათი უმეტესობა იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან იყო. ანდლულაძემ და გუგავამ ბავშვებთან საუბარი რაგბიზე დაიწყეს.

„ყოფილხართ რაგბის თამაშზე?“ - ჰკითხა გუგავამ მოსწავლეებს. თანხმობის ნიშნად მათ ხელი აიწიეს. მერე გუგავამ რაგბის ბურთი იმ ბავშვს გადაუგდო, რომელიც რამდენიმე თვის წინ, თბილისის დინამოს სტადიონზე ნანახ თამაშზე ემოციურად ჰყვებოდა. ბურთთან ერთად ბავშვები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და შეკითხვებზე პასუხებსაც მეტი ენთუზიაზმით სცემდნენ. ბავშვების საუბარში ჩართვისა და მონაწილეობის შემდეგ ანდლულაძე დაფაზე სიტყვებს წერს.

„ბიჭებთან ღია დისკუსიებს ვმართავთ. ამ პროცესში ვუახლოვდებით მათ და ვესაუბრებით, როგორც „კა-



ერთობლივი პრესკონფერენცია ქალთა მიმართ ძალადობისადმი ნულოვან ტოლერანტობას ადასტურებს. მარცხნიდან მარჯვნივ: საქართველოს რაგბის კავშირის თავმჯდომარე გიორგი ნიუარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ერიკა კვაპილოვა; 2016 წლის აგვისტო. ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/მავა გოგალაძე



გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორები და ყოფილი მორაგბეები ნონო ანდლულაძე (ცენტრში) და ლექსო გუგავა (მარჯვნივ) სოფელ ტირძნისის სკოლაში ბავშვებს ოჯახურ ღირებულებებსა და ქალთა მიმართ ძალადობაზე ესაუბრებიან (2018 წლის აპრილი) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია



ცები კაცებს“. საკითხს ფრთხილად ვეხებით, ჯერ ბიჭებს რაგბის შესახებ დისკუსიაში ვრთავთ და შემდეგ ქალთა მიმართ ძალადობაზე საუბარს ვიწყებთ“ - აღნიშნავს ანდლულაძე.

თუმცა, ბიჭების საუბარში ჩართვა არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. არსებობს ნიუანსები, რომელთა დაცვაც აუცილებელია და ამ დროს მნიშვნელოვან როლს რაგბის ღირებულებები თამაშობს.

„რაგბი მხარს უჭერს უნივერსალურ ღირებულებებს და არ აქვს მნიშვნელობა საქართველოშია ეს, სამხრეთ აფრიკასა თუ ავსტრალიაში. მთელი მსოფლიოს მორაგბეები „ოვალურ ღირებულებებს“ (რაგბის ბურთის ფორმა) იზიარებენ.

ეს სწორედ ის ღირებულებებია, რომელთა გაზიარებასაც ამ ბავშვებისთვის ვცდილობთ. მათი გამოყენება განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც გარდამავალ ეტაპზე ვიმყოფებით და მსჯელობას ისეთ სიღრმისეულ, სერიოზულ საკითხებზე ვიწყებთ, როგორიც ქალთა მიმართ ძალადობაა“, - აღნიშნავს ანდლულაძე.

მორაგბეები ბავშვებს ღირებულებებზე „ასოციაცი-ობანას“ თამაშით ესაუბრებიან. ამ დროს დაფა სწრაფად ივსება ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა გუნდური თამაში, ჯანმრთელობა, სიყვარული, მეგობრობა, ვაჟკაცობა, პატივისცემა, ურთიერთობები, ერთგულება, თანასწორობა, მხარდაჭერა, ნდობა, ერთობა, ურთიერთგაგება. ბავშვები შეკითხვებს სხარტად პასუხობენ. ანდლულაძე ცდილობს დაენიოს მათ და სწრაფად დაენეროს სიტყვები, რომლებსაც ბავშვები სათითაოდ წამოიძახებენ ხოლმე.

„ისე უნდა მოექცე სხვა მოთამაშეებს, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ. „ეს სიმართლეა, მიუხედავად იმისა სათამაშო მოედანზე ხარ, თუ სახლში. იგივე პრინციპით უნდა მოექცე ქალებსაც“, - ეუბნება გუგავა ბავშვებს.

აი, ასე გადააქვთ ყოფილ მორაგბეებს საუბარი ძალადობის თემისკენ.

„ამ თემაზე საუბარი ყველას არ სურს. ეს ყველაზე რთული ნაწილია. გამოცდილების დახმარებით უკვე მათ სახეზე ხედავ და შეგიძლია გაარჩიო კიდევ, ვისზე ძალადობენ ან ვის უნახავს ოჯახში ძალადობა.



არგენტინისა და საქართველოს მორაგბეთა ნაკრებების წევრები ლტოლვილთა საერთაშორისო დღეს ახალგაზრდებს პანკისის ხეობაში ხვდებიან; კახეთი (2014 წლის ივლისი) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/მაკა გოგალაძე





ნონო ანდლულაძე (მარცხენა), მამუკა გაჩეჩილაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენელი (ცენტრში) და მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსინგში გიგა ჭიკაძე (მარჯვნივ) ბავშვებს პანკისის ხეობაში ხვდებიან; კახეთი (2012 წლის ივლისი) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/ლეელი ბლაგონრაჟოვა

ემოციურად ეს ძალიან რთულია. ჩვენ მათ ცხელი ხაზის ნომერს ვაცნობთ, რომელზეც შეუძლიათ დარეკონ. ვუხსნი, რომ ისინიც პრობლემის მონაწილეები არიან, როცა მათ თვალწინ მომხდარი ძალადობის მოგვარებას ან არ ცდილობენ, ან ჩუმად არიან. ჩვენ ვნერგავთ იდეას, მეტის გაკეთება არ შეგვიძლია“, - ამბობს ანდლულაძე. გუგავა და ანდლულაძე ბავშვებს უხსნიან, რომ ყველა ძალადობა ფიზიკური ვერ იქნება. უყვებიან, რომ არსებობს შეფარული ტიპის ძალადობა და მათ ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, ემოციური ძალადობისა და ბულინგის შესახებ ესაუბრებიან.

დაახლოებით ერთ საათში კლასში ოდნავი არეულობა შეინიშნება. ზოგმა ბავშვმა შეხვედრა დატოვა (უმეტესად პატარებმა და რამდენიმე გოგომ), მაგრამ უმრავლესობა დარჩა და მონაწილეობა გააგრძელა, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი დისკუსიას (მათი სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე) უკვე გამოეთიშა. არეული საკლასო ოთახი თანდათან ფოკუსირებულ და შემეცნებით გარემოში გადაიზარდა.

დასასრულს ბავშვებმა საკლასო ოთახი ნელა დატოვეს, ჯერ კიდევ შეხვედრაზე მიღებულ ინფორმაციას აანალიზებდნენ. შედარებით უფროსი ასაკის ბავშვები კლასიდან გასვლისას გუგავასთან და ანდლულაძესთან შეჩერდნენ, ხელი ჩამოართვეს და ოთახიდან გავიდნენ.

კითხვაზე, თუ რა ისწავლეს, ზოგმა ბავშვმა თინეიჯერისგან მოსალოდნელი ენამოსწრებულობითა და

გამბედაობით უპასუხა, სხვებმა კი საკითხი უფრო სიღრმისეულად შეისწავლეს.

„ძალადობის შესახებ ცოტა რამ ვიცოდი. ვიცოდი ისიც, რომ ძალადობა ცუდია, მაგრამ დღეს ჩემი ცოდნა უფრო მეტად გავიღრმავე“, - აღნიშნა 16 წლის უჩამ. განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა კიდევ ერთ მონაწილეს: „დღეს ვისწავლე, რომ რაგბი საუკეთესო თამაშია, რომელიც არა მარტო სიძლიერესა და მიზნისკენ სწრაფვას მოითხოვს, არამედ სიყვარულსა და ლოიალობასაც, რომ რაგბი ოჯახია. ყველაზე მთავარი კი, რაც დღეს ვისწავლე, სხვადასხვა ტიპის ძალადობაა“, - თქვა 16 წლის დათომ.

დათო და უჩა თანხმდებიან, რომ არ არსებობს სიტუაცია, რომელიც ქალის მიმართ ძალადობას გაამართლებს, თუმცა შეუძლებელია იცოდეს, ბავშვები ამას უბრალოდ თანხმობისთვის ამბობენ, თუ მართლაც ასე სწამთ. რეალურად რთულია დაადგინო, ანდლულაძისა და გუგავას მიერ გაზიარებული ინფორმაცია ბავშვებზე აისახა, თუ არა, ამას დრო აჩვენებს. ანდლულაძე და გუგავა მზად არიან მცდელობა არ დააკლონ იმას, რომ ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის გზავნილმა ყველა ახალგაზრდამდე მიაღწიოს.

„ერთმა ბიჭმაც რომ დატოვოს შეხვედრა სადისკუსიო თემებზე ფიქრით, უკეთესად გაიგოს, რატომ არის ძალადობა ცუდი და როგორ გავუმკლავდეთ მას, მაშინ ჩვენთვის ეს დღე წარმატებულია“, - აღნიშნავს ანდლულაძე.

# განსაკუთრებული გამოწვევები

ბავშვებთან შეხვედრების შესახებ საუბრისას ანდლუ-  
ლაძე და გუგავა აღნიშნავენ, რომ საქართველოს  
ყველა რეგიონი ერთმანეთს არ ჰგავს. ზოგან განსა-  
კუთრებული გამოწვევები და გარემოებებია.

მაგალითად, პანკისის ხეობაში, რომელიც საქარ-  
თველოს სხვა კუთხეებისგან როგორც რელიგიურ,  
ისე ეთნიკურ ჭრილში განსხვავდება. პანკისის მო-  
სახლეობის დიდი ნაწილი ქისტი და ჩეჩნური წარ-  
მოშობისაა. აქ არსებული კულტურა, რელიგია და  
დამოკიდებულებები ბევრად განსხვავებულია მარ-  
თლმადიდებლური თემისგან, რომელიც ქვეყნის უმ-  
რავლესობას წარმოადგენს. ამავდროულად, პანკი-  
სის იმ სოფლებში, სადაც ანდლულაძე და გუგავა  
იმყოფებოდნენ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა.

„პანკისში ჩვენ იმ რელიგიურ უმცირესობას ვესაუბ-  
რებით, რომელსაც ქალთა მიმართ ძალადობის  
საკითხზე საკუთარი შეხედულებები და დამოკი-  
დებულება აქვს. უნდა ვადიარო, რომ იქ საუბარი  
რთულია. ძალიან დამაჯერებელი უნდა იყო“ -  
აღნიშნავს გუგავა. „მთავარი არსი ისაა, რომ ჩვენ  
არასდროს ვცდილობთ ვინმეზე ზეწოლის მოხდენას  
ან მათი მოსაზრების იძულებით შეცვლას. უბრალოდ,  
მარტივად განვმარტავთ რაგბის პრინციპებს, თუ  
რა მნიშვნელობა აქვს სპორტს პატივისცემის,  
სოლიდარობისა და ტოლერანტობის პრინციპების  
დამკვიდრებაში. ვუხსნით მათ, რომ რეალურ  
ცხოვრებაში ისევე საჭიროა ერთმანეთის მხარდაჭერა  
და დაცვა, როგორც ამას თანაგუნდელი მორაგბეები  
აკეთებენ,“ - ამბობს იგი.

2018 წლის მაისში გუგავამ და ანდლულაძემ თბილისში  
განსხვავებული პროგრამა განახორციელეს. ამჯერად  
ისინი 35 ლტოლვილს ესაუბრნენ. ყველა მათგანი  
17 წლამდე ასაკის იყო და ღონისძიებას UNHCR-ის  
პროექტის ფარგლებში ესწრებოდა. ბავშვებს განსხვა-  
ვებული წარსული ჰქონდათ და ისეთი ადგილებიდან

იყვნენ ჩამოსულები, როგორებიც ლიბანი, ერაყი,  
ირანი და უკრაინაა.

მას შემდეგ, რაც ბავშვებმა საქართველოს რაგბის კავ-  
შირის სათავო ოფისი დაათვალიერეს, ანდლულაძემ  
და გუგავამ სათამაშო მოედნის სკამებზე მათთან  
ჩვეული საუბარი დაიწყეს. მორაგბეებმა ბავშვების  
საუბარში ჩასართავად რაგბის ბურთი კიდევ ერთხელ  
გამოიყენეს. შეკითხვების მთავარი თემა ამჯერადაც  
ოჯახი და „ოვალური ღირებულებები“ იყო.

პროგრამის დასასრულს ბავშვებმა მონაწილეობა  
მიიღეს ინგლისის რაგბის ოცნლამდელოთა ეროვნული  
ნაკრების ვარჯიშში, რომელიც იმ დროისთვის საქარ-  
თველოში დაგეგმილი თამაშით იმყოფებოდა.

ბიჭებსა და გოგოებს, რომლებიც ბურთს ინგლისის  
რაგბის ოცნლამდელოთა ეროვნულ ნაკრებს ეთამაშე-  
ბოდნენ, აშკარა სიხარული ეტყობოდათ.

„რაგბი არ მომწონს, მაგრამ მაინტერესებდა, ბიჭები  
რას ისაუბრებდნენ“, - აღნიშნა 13 წლის აჰმედმა,  
რომელიც ლიბანიდანაა ლტოლვილი. „რაც შეეხება  
გოგოების მიმართ ძალადობას, მე ამას არ ვაკეთებ,  
მაშინაც კი, როდესაც გაბრაზებული ვარ. არასდროს  
ვურტყამ გოგოს ან სხვას ამის გამო, მე უკვე ვიცი, რომ  
ეს არ არის სათანადო მოქცევა“ - თქვა მან.

ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება აქვს 15 წლის  
ერაყელ მოჰამედსაც: „ძალადობა არ მომწონს, იმიტომ  
რომ ის საბოლოოდ შენ დაგიბრუნდება, არავინ იცის,  
ხვალ თუ მომდევნო კვირას, მაგრამ ის ყოველთვის  
დაბრუნდება, ამიტომ არ მიყვარს არავისთან ჩხუბი,  
არც ბიჭთან და არც - გოგოსთან“ - თქვა მან.

ამჟამინდელი მდგომარეობით, ანდლულაძესა და გუგუ-  
ავას ამგვარი შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით  
3000-მდე ბიჭსა და გოგოსთან აქვთ ჩატარებული.



ბიჭუნა სოფელ დუისიდან, პანკისის ხეობაში ნონო ანდლულაძესთან და ლექსო გუგავასთან შეხვედრას ესწრება (2012 წლის ივლისი) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/ლედი ბლაგონრაგოვა



# ერთიანი ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ

2008 წლიდან გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაეროს გენერალური მდივნის გლობალურ კამპანიას „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ (UNiTE) შეუერთდა. საქართველოში კამპანიის განხორციელების სანყის ეტაპზე გაეროს ამ ინიციატივაში მხოლოდ რაგბის კავშირი და ქართველი მორაგბეები ჩაერთნენ, შემდეგ კი პროექტით რამდენიმე ქართველი წყალბურთელი და სხვა სპორტსმენიც დაინტერესდა. კამპანიაში მონაწილეობის მზაობა მათაც გამოხატეს.

„მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსში გიგა ჭიკაძე, ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შემოგვიერთდნენ.<sup>12</sup> მივხვდით, რომ სპორტისა და ცნობილი სპორტსმენების როლმოდლეებად გამოყენება საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა გავლენის მოსახდენად, ახალგაზრდებისა და კაცების ქცევის შესაცვლელად. ჩვენი უპირველესი მიზანი ყოველთვის იყო და ახლაც რჩება ამ ბრძოლით უფრო მეტი კაცის დაინტერესება“, - ამბობს ანდლეულაძე.

2012 წელს საქართველოს რაგბის კავშირმა საქართველოსა და რუსეთს შორის გამართული საერთაშორისო თამაში გაეროს გენერალური მდივნის კამპანიას „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ (UNiTE) მიუძღვნა. 50,000 რაგბის გულშემმატიკვარი თბილისში, დინამო სტადიონზე, უსმენდა მორაგბეებს, რომლებიც ამ საკითხზე საუბრობდნენ.

ამავდროულად, პოპულარული მორაგბეები გამოჩნდნენ ვიდეორგოლში<sup>13</sup>, რომელშიც ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას გმობდნენ. ვიდეო კამპანიის მიმდინარეობისას ტელევიზიითა თუ სოციალური მედით ათასობით ადამიანმა ნახა.

მოდრაობაში ბორჯღალოსნები - საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრებიც ჩაერთნენ. ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას მათ რამდენიმე საერთაშორისო თამაში მიუძღვნეს. დღემდე ამ პრობლემას 27 სარაგბო მატჩი მიეძღვნა. გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, საქართველოს რაგბის კავშირმა რაგბის მწვრთნელებისთვის სახელმძღვანელოც შეიმუშავა, რომელიც მათ, რაგბის პრინციპებთან ერთად, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების სწავლებაშიც ეხმარება. სასწავლო კურსის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ბავშვები, ძირითადად 8-15 წლის ბიჭები, რომლებიც რაგბის კლუბებში მთელი ქვეყნის მასშტაბით თამაშობენ. ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი ინიციატივას სრულად უჭერს მხარს: “თითოეული ჩვენგანი - ბორჯღალოსნები, მწვრთნელები და მორაგბეთა ჩვენი დიდი ოჯახი - ვამაყობთ, რომ ვატარებთ კამპანიის მაისურებს, რომლებიც გმობს ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას,“ - აღნიშნა ჰეიგმა 2016 წელს.

12 <http://georgia.unwomen.org/en/digital-library/videos?videoid=xCCTqllk4A0>

13 <http://georgia.unwomen.org/en/digital-library/videos>



მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსში გიგა ჭიკაძე ავარჯიშებს ბავშვებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საუბრის შემდეგ (2012 წლის ივლისი) ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/ლედი ბლავონრავეა



# კაცები ქალთა უფლებებისთვის (HeForShe)



ანდრეი კოვალევიჩის ტოკიოს საერთაშორისო ფოტოკონკურსის (TIFA) გამარჯვებული ფოტო (2018), რომელიც გაეროს ქალთა კამპანიის ფარგლებში „ქართული ენა სქესს არ ასხვავებს, რატომ ასხვავებ შენ? შეიქმნა და გამოყენებული იყო, როგორც ერთ-ერთი ბილბორდი“<sup>14</sup>. ფოტოზე გამოსახულია პარამოფარიკავე, მსოფლიო ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში ნინა თიბილაშვილი და რაპირით ფარიკაობაში 23 წლამდეელთა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ლუკა დაღანიძე; (ივლისი 2017).

მსოფლიო რაგბის ოცნამდეელთა მსოფლიო ჩემპიონატს 2017 წელს საქართველომ უმასპინძლა. ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა და მსოფლიო რაგბიმ გაეროს ქალთა ორგანიზაციის სოლიდარობის მოძრაობას გენდერული თანასწორობისთვის HeForShe მხარდაჭერა გამოუცხადეს. ოფიციალურ ცერემონიაზე, რომელიც 2017 წლის 10 ივნისს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის შენობაში გაიმართა, გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და მსოფლიო რაგბის შორის ჩემპიონატის ფარგლებში თანამშრომლობა გაფორმდა.

მსოფლიო რაგბის სპეციალური ანგარიში, რომელიც ღონისძიებას დეტალურად აღწერდა, სოციალური მედიით გავრცელდა და მის ოფიციალურ ვებგვერდზეც განთავსდა. მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, ანგარიში 20 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ნახა. ჩემპიონატის ბოლოს მოედანზე, გენდერული თანასწორობისა და სპორტის საშუალებით ქალთა გაძლიერების წასახალისებლად, გულშემატკივრების ზონა მოეწყო.

14 <http://georgia.unwomen.org/en/digital-library/videos?videoid=xCCTqllk4A0>

ოცნლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და საქართველოს რაგბის კავშირმა დარჩეულ გოგო მორაგბეებს მოულოდნელი ღონისძიება მოუწყვეს. მისი მიზანი სპორტის საშუალებით ქალთა გაძლიერების მხარდაჭერა იყო. გოგო მორაგბეები ინგლისის ოცნლამდელთა ნაკრების წევრებს შეხვდნენ, რომლებმაც მათ რაგბიში მასტერკლასი ჩაუტარეს.

ინგლისურისა და მსოფლიოში არსებული სხვა ენებისგან განსხვავებით, ქართული ენა გენდერულად ნეიტრალურია. მასში გენდერული კუთვნილება არ კონკრეტდება. სწორედ ქართული ენის ეს მახასიათებელი დაედო საფუძვლად გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის გლობალური ინციატივის, HeForShe-ს ქართული ვერსიის შექმნას.<sup>15</sup>

სოლიდარობის მოძრაობა გენდერული თანასწორობისთვის HeForShe ხაზს უსვამს, რომ ქალებს სპორტში არანაკლები წარმატება აქვთ, მაგრამ, როდესაც ადამიანები საუბარს ძლიერ, სწრაფ და უშიშარ სპორტსმენზე იწყებენ, ბევრი ავტომატურად გულისხმობს, რომ ის აუცილებლად კაცია. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კამპანია სწორედ ამ სტერეოტიპს ამსხვრევს და აჩვენებს, რომ ქალებისა და კაცების შესაძლებლობები სპორტში თანაბარია, წარმატების მიღწევასა და გამარჯვებისთვის ბრძოლაში კი სქესს მნიშვნელობა არ აქვს კამპანია სარეკლამო პოსტერებსა და ვიდეოებს აერთიანებდა. იგი მაყურებელს გენდერული როლების შესახებ დაფიქრებისა და არსებული სტერეოტიპების გადაფასებისკენ უბიძგებდა.

ერთ-ერთ პოსტერზე გამოსახულები არიან ქალი და კაცი მოჭიდავეები, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან, წარწერაზე კი ვკითხულობთ: „ქართული ენა სქესს არ ასხვავებს, რატომ ასხვავებ შენ?“

კამპანია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა. იმ დროს სამინისტროს კვლევისა და ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვასილ ლიპარტელიანის აზრით, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალებისა და გოგოების ჩართულობის

გაძლიერება კამპანიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

„გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და ეს კამპანია საუკეთესო საშუალებაა ჩვენთვის, რათა უფრო ფართო საზოგადოებას მივანვლინოთ ხმა და ყველა ოჯახს გავუზიაროთ ინფორმაცია, რომ გოგოების მიერ არჩეული, სტერეოტიპულად „კაცური“ სპორტი, მაგალითად მძლეოსნობა, გაოცებას არ უნდა იწვევდეს. ჩვენ უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება, რომ ზოგი სახეობა მხოლოდ გოგოებისთვისაა, ზოგი კი — მხოლოდ ბიჭებისთვის. გოგოების სპორტში ჩართულობა სრულად მათი გადასაწყვეტია და ეს არ უნდა იყოს საჯარო განსჯის საკითხი“, - აღნიშნავს ლიპარტელიანი.

კამპანიის ერთ-ერთ ვიდეორგოლში დარჩეული გოგო, სახელად ნინო, საკუთარ ისტორიას ჰყვება. ამბობს, თუ როგორ დაიწყო რაგბიზე სიარული, როგორ არ სჯეროდათ ადამიანებს მის გარშემო, რომ გოგოებსაც შეეძლოთ რაგბის თამაში. ინსპირაციული ვიდეო გრძელდება და აჩვენებს მორაგბე გოგოებს, რომლებიც ერთმანეთს ბოჭავენ და მოედანზე დარბიან. პარალელურად, ნინო საკუთარი და მეგობრების გამოცდილების შესახებ საუბრობს, ჰყვება, როგორ უწევთ მათ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან ბრძოლა, რადგან ვინც აზროვნება ხშირად სათამაშო მოედანს სცდება. ნინო ამტკიცებს, რომ ქალებსა და კაცებს სპორტში თანაბარი წარმატების მიღწევა შეუძლიათ, ვიდეოს დასასრულს კი ის გაბედულად აცხადებს: „ჩვენ გოგოები ვართ და რაგბი ჩვენი თამაშია“.<sup>16</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კამპანია სპორტული წრეების ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა, საზოგადოების რეაქცია ყოველთვის პოზიტიური არ იყო, განსაკუთრებით კი სოციალურ მედიაში.

„სოციალურ მედიაში ბევრი ნეგატიური კომენტარი მივიღეთ. ბევრი ადამიანი იყო ნაწყენი იმის გამო, რომ ეს სოციალური რეკლამა ქართველ გოგოებს ქალის როლის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული ნორმებისგან განსხვავებულად წარმოაჩინდა“, - აღნიშნავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის კომუნიკაციის სპეციალისტი გვანცა ასათიანი.

15 გლობალური კამპანია 2014 წელს დაიწყო. საქართველოში მისი მიზანი იყო გენდერული თანასწორობის მომხრე, სხვადასხვა სფეროში წარჩინებული კაცების, მათ შორის მორაგბეების მოზიდვა ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა გაძლიერებისა და თანასწორობის წახალისებისთვის.

16 <https://www.youtube.com/watch?v=ZHaejVwDM8s&feature=youtu.be>

ამ კამპანიით კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი საზოგადოებაში ქალთა მიმართ დამკვიდრებული პატრიარქალური დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმატებული კამპანიისთვის საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უკეთ გაგების დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი იყო.

წლების შემდეგ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოს რაგბის კავშირი და სხვა პარტნიორები ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული თა-

ნასწორობის საკითხებზე დამოკიდებულებების შეცვლისთვის ინტენსიურ მუშაობას აგრძელებენ. მათი და სხვა ორგანიზაციების ძალისხმევით, სხვადასხვა საზოგადოებრივი ინიციატივების შედეგად, საქართველომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, ციფრები ცხადყოფს, რომ ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში პრობლემის დაძლევის გზაზე გარკვეულ პროგრესს მიაღწია.

# ციფრებში ასახული პროგრესი

დღესდღეობით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ ოჯახში ძალადობის მიმართ დამოკიდებულების კუთხით საზოგადოებაში არსებული პოზიტიური ცვლილებები რამდენადაა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კამპანიის დასახურება, თუმცა ფაქტია, რომ პრობლემასთან ბრძოლის გზაზე საქართველომ საგრძნობ პროგრესს მიაღწია, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინებების რაოდენობა ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა. საქართველოში 2017 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადდა, ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ინტიმური პარტნიორის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ პოლიციაში განაცხადეს, ეს მაჩვენებელი 2017 წელს 18% იყო,<sup>17</sup> 2009 წელს კი მხოლოდ - 1.5%.<sup>18</sup> აღნიშნული მიახლოებებს, რომ ქალები პოლიციას ენდობიან და სჯერათ მისი ეფექტიანობის, როდესაც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას აქვს ადგილი.

ამავდროულად, პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში დაახლოებით 20-ჯერ გაიზარდა. სისხლის სამართლებრივმა დევნამ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 4-ჯერ იმატა, გასულ წლებთან შედარებით, სულ უფრო ბევრი ქალი მიდის თავშესაფარში და იღებს მომსახურებას.<sup>19</sup> ეს მზარდი დინამიკა ძირითადად ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების ცვლილებითაა გამოწვეული, რასაც იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელიც ცხადყოფს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საკითხია და მასში არავინ უნდა ჩაერიოს. ეს მაჩვენებელი 2009 წელს დაფიქსირებული 78 %-დან<sup>20</sup> 2017 წელს 33%-მდე შემცირდა<sup>21</sup>.

აღნიშნულ საკითხზე მიღწეული მეტი წარმატების შესახებ ინფორმაციის მიღება 2017 წლის კვლევის ანგარიშშია შესაძლებელი. მაგალითად, 2009 წლის კვლევის გამოქვეყნების შემდეგ იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც ძალადობას ნორმად მიიჩნევდნენ, 10%-ით შემცირდა. ეს შეიძლება პოზიტიურ მოვლენად მივიჩნიოთ და ვივარაუდოთ, რომ საქართველოში სულ უფრო ცოტა ქალია მზად, აიტანოს ძალადობა, როგორც ნორმალური ქმედება.

17 UN Women, GEOSTAT and the EU, National Study on Violence against Women: Summery Report (2017), p.15  
18 UNFPA and ACT, National Study on Domestic Violence against Women in Georgia (2009)

19 www.police.ge  
20 UNFPA and ACT, National Study on Domestic Violence against Women in Georgia (2009)  
21 lence against Women: Summery Report (2017)

# სამომავლო გეგმები



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 15 იანვარს პრეზიდენტის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა. ფოტო: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია/ლელი ბლაგონრაჟოვა

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მისი პარტნიორების, მათ შორის საქართველოში მოქმედი გაეროს სხვა სააგენტოების, მაგალითად, UNICEF, UNFPA ან UNHCR, დაუღალავი კამპანიის შედეგად, ქართულ საზოგადოებაში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ნეგატიური სტიგმა დამკვიდრდა. ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა ნორმად

აღარ მიიჩნევა და მასთან მიმართებაში ერთგვარი სირცხვილის გრძნობა არსებობს. დღეს ქალთა მიმართ ძალადობა მოძალადისთვის არა მხოლოდ სადამსჯელო სამართლებრივ შედეგებს იწვევს, არამედ მას თან მიიმე სოციალური შედეგებიც მოსდევს. საზოგადოებაში ოჯახში ძალადობის მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება აღარ არსებობს და ის ნორმად აღარ მიიჩნევა.



გემოაღნიშნულის მიუხედავად, 2014 წლის გახმაურებული მკვლევარების ფონზე, როდესაც ყოფილი მუღლეების ან ინტიმური პარტნიორების მსხვერპლები ქალები იყვნენ, გვახსენდება, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემის დასაძლევად კვლავაც გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 15 იანვარს პრეზიდენტის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა. „ჩვენ უნდა დავგმოთ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა და უნდა გადავდგათ ხელშესახები ნაბიჯები ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის,“ - განაცხადა მან. ეს ინიციატივა ოჯახში ძალადობის შედეგად ქალთა მკვლევარებზე პირდაპირ რეაგირებას წარმოადგენდა.<sup>22</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ერთი ფემიციდის შემთხვევაც კი ბევრია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ კანონით დასჯადი სისხლის სამართლის დანაშაული არ არის და მას სოციალური შედეგებიც აქვს, ადასტურებს, რომ ქვეყანამ 2010 წლის შემდეგ გრძელი გზა გაიარა.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს სხვა სააგენტოებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მჭიდრო თანამშრომლობას გააგრძელებს იმ წამყვან ადგილობრივ აქტორებთან, რომლებიც მონაწილე-

ობას იღებენ ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლების/გადარჩენილებისთვის უწყებათაშორის კოორდინაციაში, რეფერირებასა და მომსახურებაში, მათ შორის არიან: სახალხო დამცველის ოფისი, პოლიცია, პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები და სოციალური მუშაკები. გაეროს ქალთა ორგანიზაცია გააგრძელებს ეროვნულ დონეზე პარტნიორების მხარდაჭერას იმ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის, რომლებმაც ოჯახში ძალადობა დაძლიეს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია გააგრძელებს სოციალური ქცევის ცვლილებისთვის საჭირო საკომუნიკაციო (SBCC) კამპანიას და ღონისძიებებს, რათა საზოგადოებას მიანდოს შემდეგი მკაფიო გზავნილი: ძალადობა დაუშვებელია და ქვეყანა მას არ შეეგუება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალების, გოგოებისა და ძალადობის მსხვერპლების ძალადობისაგან დაცვის მიზნით, რესურსების მობილიზებას გააგრძელებს.

საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მიღწევის გარეშე ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა არ მოხდება. ბრძოლა გაგრძელდება, რათა სათამაშო მოედანი სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებისთვის გათანაბრდეს და მომავალში ძალადობის მსხვერპლად ქცევის შიში არცერთ ქალს ან გოგოს არ ჰქონდეს.

22 <http://georgia.unwomen.org/en/news/stories/2015/01/georgia-declares-2015-as-year-of-the-women>